ხელშეკრულება N1/301019/2

ქ. თბილისი **30 ოქტომბერი, 2019 წ.**

ერთის მხრივ სსიპ შემოსავლების სამსახური (ს/კ204525585) (შემდგომში ,,მონაწილე”), წარმოდგენილი მისი ფინანსური დეპარტამენეტის უფროსის გიორგი გომარელის სახით, ხოლო მეორეს მხრივ შპს „სბმ ეგენსი“ (ს/კ 406 177 989) (შემდგომში ,,ორგანიზატორი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაალ ჩიტალაძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია საქართველოში მოყვარულთა შორის მინი-ფეხბურთში (CPV92622000 - სპორტული ღონისძიებების ორგანიზება) “ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის” ორგანიზებასა და მასში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირება.

1.2 სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 25 ოქტომბრის N4262 განკარგულების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2.ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **5 900.00 (ხუთი ათს ცხრასი ლარი და 00 თეთრი)** ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და გადასახადების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

3. ტურნირის ფორმატი

3.1. ჩემპიონატი ჩატარდება ქალაქ თბილისის დახურულ სპორტულ მოედნებზე ხუთი ლიგის ფორმატში – სუპერლიგა, ოქროს ლიგა, ვერცხლის ლიგა, ბრინჯაოს ლიგა და საკვალიფიკაციო ლიგა.

3.2. სუპერლიგის, ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს ლიგის მონაწილეთათვის ჩატარდება თასის გათამაშება.

3.3. კონკრეტული ლიგის და თასის ფორმატი, ჩემპიონატში რეგისტრაციის და მონაწილეობის პირობები, ჩატარების ვადები, შესატანი თანხის ოდენობა და საპრიზო ფონდი განსაზღვრულია ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის 2019/2020 წ.წ. სეზონის სამონაწილეო პირობებში, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას დანართი 1-ის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ასევე ამ ხელშეკრულების ფარგლებში მონაწილეობისათვის შერჩეული ლიგა, განისაზღვრება ამ ხელშეკრულების დანართი 2–ში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. ორგანიზატორი ადგენს ჩემპიონატის დებულებას, სტრუქტურასა და კალენდარს, ორგანიზებას უწევს ღონისძიების მსვლელობისას მსაჯობას, განსაზღვრავს შესატანი თანხისა და საპრიზო ფონდის ოდენობას, უზრუნველყოფს გამარჯვებულთა დაჯილდოვებას.

4.2.მონაწილე იღებს ვალდებულებას გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შესატანი თანხა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, გაეცნოს და დაიცვას ჩემპიონატში მონაწილეობის პირობები და დაადასტუროს თანხმობა.

5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

5.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი გადახდა განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2. მონაწილეობის შესატანი თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს ინვოისის საფუძველზე, მისი წარდგენიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

5.3. საპრიზო ჯილდოს გადახდა უნდა განხორციელდეს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების დასრულებისთანავე.

6. ხელშეკრულების პირობების ცვლილება

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც ფორმდება წერილობით და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6.2. მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებებისა და ვალდებულებების მესამე პირებისათვის გადაცემა შესაძლებებლია მხოლოდ მეორე მხარის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1.თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში,მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელის შემშლელ გარემოებას, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვლადებულებების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზის შესახებ.

7.2. აღნიშნული გარემოებები უნდა აღმოიფხვრას უმოკლეს ვადაში და მხარეებმა უზრუნველყონ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1.თუ რომელიმე მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს დამრღვევი მხარისაგან ხელშეკრულების პირობების უმოკლეს ვადაში შესრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეებს ენიჭებათ უფლებამოსილება ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

8.2. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.3 მხარეები თავისუფლდებიან წიანმდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით.

9. სადაო საკითხები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ იმხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა შორის მოალაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეების მიერ თავიანთი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

"მონაწილე"
სსიპ „შემოსავლების სამსახური"
ს/კ 204525585
ქ.თბილისი გორგასლის ქ. N16
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი № TRESGE22
ანგარიში/სახაზინო კოდი 70701

REVENUE SERVICE
Digitally signed by REVENUE SERVICE
Date: 2019.10.30 19:51:58 +04'00'

გიორგი გომარელი
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

„ორგანიზატორი"
შპს „სბმ SBM"
ს/კ 406177989
ქ. თბილისი, ისანი–სამგორის მე–3 მასივი, მე9კვ.
სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი: UGEBGE22,
ა/ა GE31VT9800000006383608

Zaal Chitaladze
Digitally signed by Zaal Chitaladze
Date: 2019.10.30 17:10:04 +04'00'

ზაალ ჩიტალაძე
დირექტორი

დანართი 1

ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა 2019-2020
მონაწილეობის პირობები

სუპერლიგა

მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ბიზნეს და სახელმწიფო სექტორის გუნდები, სადაც თამაშის უფლება ექნება ამ ორგანიზაციების თანამშრომლებს და მაქსიმუმ 3 „ლეგიონერს“ - დამატებულ მოთამაშეს, ვისი ასაკიც შეადგენს და აღემატება 30 წელს, ვინც პარალელურად რეგისტრირებული არ იქნება სფფ-ს და მის დაქვემდებარებაში მყოფი სუბიექტების ეგიდით გასამართი ნებისმიერი შეჯიბრების (მათ შორის არც ფუტსალის ლიგა და ფუტსალის ლიგა 2) 2019/2020 წ.წ განაცხადში. ასევე რეგისტრირებული არ იქნება სტუდენტური სპორტის ფედერაციის ეგიდით გამართული შეჯიბრებების (სტუდენტური ლიგა და სტუდენტური თასი ფუტსალში) განაცხადში, 2019 წლის 1 ოქტომბრიდან, 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით. **გამონაკლისის სახით, ფუტსალის ლიგა 2-ში მოთამაშე ფეხბურთელს, პარალელურად შეუძლია ითამაშოს სუპერლიგაში, თუ იგი ითვლება იმ ორგანიზაციის შტატიან თანამშრომლად მინიმუმ 6 თვის განმავლობაში, რომელსაც წარმოადგენს გუნდი. (აღნიშნულის დასადასტურებლად აუცილებელია 6 თვიანი სახელფასო ამონაწერის წარმოდგენა).** ასაკობრივი შეზღუდვა არ გავრცელდება იმ მოთამაშეებზე, რომლებიც ითვლებიან იმ ორგანიზაციის შტატიან თანამშრომლებად, რომელსაც წარმოადგენს გუნდი.

- დაიშვებიან ის მოთამაშეებიც, რომლებსაც 30 წელი უსრულდებათ 2019 წელს;
- სუპერლიგაში მოთამაშე ფეხბურთელს უფლება არ აქვს ერთდროულად ორ სხვადასხვა გუნდში ითამაშოს. (მათ შორის არც სტუდენტური ლიგა).
- ორგანიზაციის თანამშრომლად არ ჩაითვლება სტაჟირებაზე მყოფი პირი ან/და ერთჯერადი კონტრაქტით დაქირავებული პირი.
- ორგანიზაციას უფლება აქვს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე იყოლიოს ერთი მოთამაშე-მწვრთნელი, რომლის ასაკიც შეადგენს და აღემატება 35 წელს.

ხანგრძლივობა: 2019 წლის ოქტომბერი - 2020 წლის ივნისი.

ჩემპიონატის სისტემა - აღნიშნულ გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს 8 გუნდი, წრიული სისტემით, ერთ ეტაპად. 8 გუნდი ორ მატჩიან პლეიოფში (1/4 ფინალი) განაგრძობს თამაშს. პარალელურად, 8 გუნდი ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

სამონაწილეო თანხა - 5 000 ლარი (დ.ღ.გ-ს გარეშე)

<u>რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია</u>: <u>ხელშეკრულება - არაუგვიანეს 2019 წლის, 21 ივლისისა</u>
<u>სათამაშო ფორმის ფერი - არაუგვიანეს 2019 წლის 21 სექტემბრისა (გუნდს უნდა ქონდეს JOMA-ს სათამაშო ეკიპირების ორი კომპლექტი), გუნდის სამონაწილეო განაცხადი, ყველა ფეხბურთელის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და აღნიშნულ ორგანიზაციაში ბოლო 3 თვის ხელფასის საბანკო ამონაწერი, სადაც მინიმალური ხელფასის ოდენობა განისაზღვრება 300 (სამასი) ლარის ოდენობით - არაუგვიანეს 2019 წლის, 21 სექტემბრისა.</u>

ოქროს ლიგა

მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ბიზნეს და სახელმწიფო სექტორის გუნდები, სადაც თამაშის უფლება ექნებათ მხოლოდ და მხოლოდ ამ ორგანიზაციების თანამშრომლებს, ვინც 2018 წლის 1 იანვრიდან, რეგისტრირებული არ ყოფილა სფფ-ს და მის დაქვემდებარებაში მყოფი სუბიექტების ეგიდით გამართული და გასამართი ნებისმიერი შეჯიბრების განაცხადში (მათ შორის ფუტსალის ლიგა და ფუტსალის ლიგა 2)* <u>(*აღნიშნული შეზღუდვა არ გავრცელდება იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც უკვე თამაშობდნენ კონკრეტული გუნდის შემადგენლობაში 2018/19 წ.წ სეზონში და წარმოადგენენ ხელფასის საბანკო ამონაწერს 2019 წლის 1 იანვრიდან - 2019 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით)</u> და ამ პერიოდში ნათამაშები არ ექნება ფუტსალის ეროვნულ ნაკრებში. ასევე რეგისტრირებული არ იქნება სტუდენტური სპორტის ფედერაციის ეგიდით გამართული შეჯიბრებების (სტუდენტური ლიგა და სტუდენტური თასი ფუტსალში) განაცხადში, 2019 წლის 1 ოქტომბრიდან, 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

- ოქროს ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელს, უფლება არ აქვს ერთდროულად სხვა რომელიმე გუნდში ითამაშოს.
- ორგანიზაციის თანამშრომლად არ ჩაითვლება სტაჟირებაზე მყოფი პირი ან/და ერთჯერადი კონტრაქტით დაქირავებული პირი.

- ორგანიზაციას უფლება აქვს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე იყოლიოს ერთი მოთამაშე-მწვრთნელი, რომლის ასაკიც შეადგენს და აღემატება 35 წელს.

ხანგრძლივობა: 2019 წლის ოქტომბერი - 2020 წლის ივნისი.
ჩემპიონატის სისტემა - აღნიშნულ გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს 8 გუნდი, წრიული სისტემით, ერთ ეტაპად. წრიული ეტაპის შემდეგ, 8 გუნდი ორ მატჩიან პლეიოფში (1/4 ფინალი) განაგრძობს თამაშს. პარალელურად, წრიული ეტაპის შედეგად 6 საუკეთესო გუნდი ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

სამონაწილეო თანხა - 4 000 ლარი (დ.ღ.გ.-ს გარეშე)

<u>რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია</u>: <u>ხელშეკრულება - არაუგვიანეს 2019 წლის, 21 ივლისისა; სათამაშო ფორმის ფერი - არაუგვიანეს 2019 წლის 21 სექტემბრისა (გუნდს უნდა ქონდეს JOMA-ს სათამაშო ეკიპირების ორი კომპლექტი); გუნდის სამონაწილეო განაცხადი, ყველა ფეხბურთელის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და აღნიშნულ ორგანიზაციაში ბოლო 3 თვის ხელფასის საბანკო ამონაწერი სადაც მინიმალური ხელფასის ოდენობა განისაზღვრება 300 (სამასი) ლარის ოდენობით- არაუგვიანეს 2019 წლის, 21 სექტემბრისა.</u>

<u>ვერცხლის ლიგა</u>

მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ბიზნეს და სახელმწიფო სექტორის გუნდები, სადაც თამაშის უფლება ექნებათ მხოლოდ და მხოლოდ ამ ორგანიზაციების თანამშრომლებს, ვინც 2017 წლის 1 იანვრიდან რეგისტრირებული არ ყოფილა სფფ-ს და მის დაქვემდებარებაში მყოფი სუბიექტების ეგიდით გამართული და გასამართი ნებისმიერი შეჯიბრების განაცხადში (მათ შორის ფუტსალის ლიგა და ფუტსალის ლიგა 2)* <u>(*აღნიშნული შეზღუდვა არ გავრცელდება იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც უკვე თამაშობდნენ კონკრეტული გუნდის შემადგენლობაში 2018/19 წ.წ სეზონში და წარმოადგენენ ხელფასის საბანკო ამონაწერს 2019 წლის 1 იანვრიდან - 2019 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით)</u> და ამ პერიოდში ნათამაშები არ ექნება ფუტსალის ეროვნულ ნაკრებში. ასევე რეგისტრირებული არ იქნება სტუდენტური სპორტის ფედერაციის ეგიდით გამართული შეჯიბრებების (სტუდენტური ლიგა და სტუდენტური თასი ფუტსალში) განაცხადში, 2019 წლის 1 ოქტომბრიდან, 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

- ვერცხლის ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელს, უფლება არ აქვს ერთდროულად სხვა რომელიმე გუნდში ითამაშოს.
- ორგანიზაციის თანამშრომლად არ ჩაითვლება სტაჟირებაზე მყოფი პირი ან/და ერთჯერადი კონტრაქტით დაქირავებული პირი.
- ორგანიზაციას უფლება აქვს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე იყოლიოს ერთი მოთამაშე-მწვრთნელი, რომლის ასაკიც შეადგენს და აღემატება 35 წელს.

ხანგრძლივობა: 2019 წლის ოქტომბერი - 2020 წლის ივნისი
ჩემპიონატის სისტემა - აღნიშნულ გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს 8 გუნდი, წრიული სისტემით, ერთ ეტაპად. წრიული ეტაპის შემდეგ 8 გუნდი ორ მატჩიან პლეიოფში (1/4 ფინალი) განაგრძობს თამაშს. პარალელურად, წრიული ეტაპის შედეგად 6 საუკეთესო გუნდი ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

სამონაწილეო თანხა - 4 000 ლარი (დ.ღ.გ.-ს გარეშე)
<u>რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია</u>: ხელშეკრულება - არაუგვიანეს 2019 წლის, 21 ივლისისა; სათამაშო ფორმის ფერი - არაუგვიანეს 2019 წლის 21 სექტემბრისა (გუნდს უნდა ქონდეს JOMA-ს სათამაშო ეკიპირების ორი კომპლექტი); გუნდის სამონაწილეო განაცხადი, ყველა ფეხბურთელის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და აღნიშნულ ორგანიზაციაში ბოლო 3 თვის ხელფასის საბანკო ამონაწერი სადაც მინიმალური ხელფასის ოდენობა განისაზღვრება 300 (სამასი) ლარის ოდენობით- არაუგვიანეს 2019 წლის, 21 სექტემბრისა.

<u>ბრინჯაოს ლიგა</u>

მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ბიზნეს და სახელმწიფო სექტორის გუნდები, სადაც თამაშის უფლება ექნებათ მხოლოდ და მხოლოდ ამ ორგანიზაციების თანამშრომლებს, ვინც 2016 წლის 1 იანვრიდან, რეგისტრირებული არ ყოფილა სფფ-ს და მის დაქვემდებარებაში მყოფი სუბიექტების ეგიდით გასამართ ნებისმიერი შეჯიბრების განაცხადში (მათ შორის ფუტსალის ლიგა და ფუტსალის ლიგა 2)* <u>(*აღნიშნული შეზღუდვა არ გავრცელდება იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც უკვე თამაშობდნენ კონკრეტული გუნდის შემადგენლობაში 2018/19 წ.წ სეზონში და წარმოადგენენ ხელფასის საბანკო ამონაწერს 2019 წლის 1 იანვრიდან - 2019 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით)</u> და ამ

პერიოდში ნათამაშები არ ექნება ფუტსალის ეროვნულ ნაკრებში. ასევე რეგისტრირებული არ იქნება სტუდენტური სპორტის ფედერაციის ეგიდით გამართული შეჯიბრებების (სტუდენტური ლიგა და სტუდენტური თასი ფუტსალში) განაცხადში, 2019 წლის 1 ოქტომბრიდან, 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

- ბრინჯაოს ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელს, უფლება არ აქვს ერთდროულად სხვა რომელიმე გუნდში ითამაშოს.
- ორგანიზაციის თანამშრომლად არ ჩაითვლება სტაჟირებაზე მყოფი პირი ან/და ერთჯერადი კონტრაქტით დაქირავებული პირი.
- ორგანიზაციას უფლება აქვს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე იყოლიოს ერთი მოთამაშე-მწვრთნელი, რომლის ასაკიც შეადგენს და აღემატება 35 წელს.

ხანგრძლივობა: 2019 წლის ოქტომბერი - 2020 წლის ივნისი

ჩემპიონატის სისტემა - აღნიშნულ გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს 8 გუნდი, წრიული სისტემით, ერთ ეტაპად. წრიული ეტაპის დასრულების შემდეგ 8 გუნდი ორ მატჩიან პლეიოფში (1/4 ფინალი) განაგრძობს თამაშს. პარალელურად, წრიული ეტაპის შედეგად 6 საუკეთესო გუნდი, ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

სამონაწილეო თანხა - 4000 ლარი (დ.ღ.გ.-ს გარეშე)

<u>რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია</u><u>: ხელშეკრულება - არაუგვიანეს 2019 წლის, 21 ივლისისა სათამაშო ფორმის ფერი - არაუგვიანეს 2019 წლის 21 სექტემბრისა (გუნდს უნდა ქონდეს JOMA-ს სათამაშო ეკიპირების ორი კომპლექტი). გუნდის სამონაწილეო განაცხადი, ყველა ფეხბურთელის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და აღნიშნულ ორგანიზაციაში ბოლო 3 თვის ხელფასის საბანკო ამონაწერი სადაც მინიმალური ხელფასის ოდენობა განისაზღვრება 300 (სამასი) ლარის ოდენობით - არაუგვიანეს 2019 წლის, 21 სექტემბრისა.</u>

<u>საკვალიფიკაციო ლიგა</u>

მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ბიზნეს და სახელმწიფო სექტორის გუნდები, სადაც თამაშის უფლება ექნება ყველას, ვინც 2016 წლის 1 იანვრიდან, რეგისტრირებული არ ყოფილა სფფ-ს და მის დაქვემდებარებაში მყოფი სუბიექტების ეგიდით გამართული და გასამართი ნებისმიერი შეჯიბრების განაცხადში (მათ შორის ფუტსალის ლიგა და ფუტსალის ლიგა 2) და ამ პერიოდში ნათამაშები არ ექნება ფუტსალის ეროვნულ ნაკრებში. ასევე რეგისტრირებული არ იქნება სტუდენტური სპორტის ფედერაციის ეგიდით გამართული შეჯიბრებების (სტუდენტური ლიგა და სტუდენტური თასი ფუტსალში) განაცხადში, 2019 წლის 1 ოქტომბრიდან, 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

- საკვალიფიკაციო ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელს, ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონში ნათამაშები არ უნდა ქონდეს არცერთი სხვა ლიგის გუნდში.

ხანგრძლივობა: 2020 წლის აპრილი - 2020 წლის ივნისი

ჩემპიონატის სისტემა - აღნიშნულ გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს 8 გუნდი, წრიული სისტემით, ერთ ეტაპად.

სამონაწილეო თანხა - 3 000 ლარი (დ.ღ.გ.-ს გარეშე)

<u>რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია</u><u>: ხელშეკრულება - არაუგვიანეს 2020 წლის, 21 თებერვლისა; სათამაშო ფორმის ფერი - არაუგვიანეს 2020 წლის 21 მარტისა (გუნდს უნდა ქონდეს JOMA-ს სათამაშო ეკიპირების ორი კომპლექტი); გუნდის სამონაწილეო განაცხადი, ყველა ფეხბურთელის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი - არაუგვიანეს 2020 წლის, 15 მარტისა.</u>

მონაწილე	ორგანიზატორი
სსიპ „შემოსავლების სამსახური“	**შ.პ.ს „სბმ SBM”**
ს/კ 204525585	**ს/კ 406177989**
_____	_____
გიორგი გომარელი	**ზაალ ჩიტალაძე**
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	დირექტორი

დანართი 2

	ლიგა	პერიოდი	ფორმატი	სამონაწილეო თანხა*	საპრიზო ფონდი
☐	სუპერლიგა	10.2019 – 06.2020	წრიული სისტემა, ერთეტაპად + პლეიოფი	5000 ლარი	1 ქულა – 50 ლარი
☐	სუპერლიგა -2	10.2019 – 06.2020	წრიული სისტემა, ერთეტაპად + პლეიოფი	4000 ლარი	1 ქულა – 35 ლარი
☐	ოქრო	10.2019 – 06.2020	წრიული სისტემა, ერთ ეტაპად + პლეიოფი	4000 ლარი	1 ქულა – 45 ლარი
☐	ვერცხლი	10.2019 – 06.2020	წრიული სისტემა, ერთ ეტაპად + პლეიოფი	4000 ლარი	1 ქულა – 40 ლარი
☐	ბრინჯაო	10.2019 – 06.2020	წრიული სისტემა, ერთ ეტაპად + პლეიოფი	4000 ლარი	1 ქულა - 35 ლარი
☐	თასი	04.2020– 06.2020	ერთრაუნდიანი, პლეიოფი	–	თასი
☐	საკვალიფიკაციო ლიგა	.04.2020 –.06.2020	წრიული სისტემა, ერთ ეტაპად	3000 ლარი	1 ქულა - 30 ლარი

* თანხა მოცემულია დ.ღ.გ.-ს გარეშე

მონაწილე	ორგანიზატორი
სსიპ „შემოსავლების სამსახური“	**შ.პ.ს „სბმ SBM”**
ს/კ 204525585	**ს/კ 406177989**
_____	_____
გიორგი გომარელი	**ზაალ ჩიტალაძე**
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	დირექტორი